ოქმი:**ო65. 6523359001**
თარიღი:**25/12/2023**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 22.12.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **- გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გელა ჩიკვაიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გრიგოლ მატარაძე, კობა ტოხვაძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშალაშვილი, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი **- ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

- **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **- მიხეილ სვანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადნისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი -**ნარგიზი ალფაიძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **- მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხსენებელი: ივანე მამფორია
2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

   მომხსენებელი: ივანე მამფორია

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: დავით გაბუნია

5. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: დავით გაბუნია

6. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხსენებელი: დავით გაბუნია

7. „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: მიხეილ სვანაძე

8. „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნარგიზი ალფაიძე

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

10. „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის №g-65.65230692 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოს მთვარობის 2023 წლის 23 იანვრის N 147 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებისა და საკუთარი სახსრების ნაწილში პროგრამებს შორის თანხის გადანაწილების საჭიროებით.

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 19576,2 ათასი ლარით, გადასახდელები 20847,8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დადგენილება N 24

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი შენიშვნები და 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 12 800 000 ლარით.

საგადასახადო შემოსავლები:

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10551,8 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 945,0 ათასი ლარით (9,8%-ით). სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები განისაზღვრება 176,0 ათასი ლარით.სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 1572,2 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლების სახით სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს.

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 12800,0 ათას ლარს, პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 565,0 ათასი ლარი ვანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილიც. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სკვერების და ბილიკების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; სამოქალაქო ბიუჯეტი;

დასუფთავება - 1000,0ათასი ლარი პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

განათლება - 3000,0 ათასი ლარი მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2380,0 ათასი ლარი.** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის

დამკვიდრება.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1140,0 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -100,0 ათასი ლარი. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მმართველობა - 4615,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – 3

(ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''.

დადგენილება N 25

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალიშწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხესენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო მოსამსახურეთა ხელფასები გაიზრდება 10 %, რაც გამოიწვევს თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – 3

(ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ

საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 26

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალიშწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ამ შემთხვევაშიც მომხესენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო მოსამსახურეთა ხელფასები გაიზრდება 10 %, რაც გამოიწვევს მერიის თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებას; გარდა ამისა მერიის საშტატო ნუსხიდან სამხედრო სამსახური იქნება ამოღებული.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – 3

(ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 27

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რომ მერიის სამხედრო სამსახური შეურთდა თავდაცვის სამინისტროს. შესაბამისად ცვლილება შევიდა N29 დადგენილებაში და მერიის დებულებიდან ამოღებული იქნა სამხედრო სამსახურის ფუნქციები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 28

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალიშწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის სახედრო სამსახური შეურთდა თავდაცვის სამინისტროს და შესაბამისად დადგენილება N66 ძალადაკარგულად გამოცხადდა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

დადგენილება N 29

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა შემდეგ დანართებში:

დანართი N3 სამედიცინო დახმარების პროგრამას დაემატა ,,მეტყველების პრობლემების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები“-ის დახმარება. ამავე დანართში ამოღებულია მშობიარობაზე შეღავათები.

ასევე სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარების მიერ ერთჯერადი გადასახდელი თანხა იზრდება 3000 ლარამდე.

დანართი N4 დაემატა ,,მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული, საპენსიო ასაკს მიუღწეველი პირების და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება 50 ლარით“.

დანართი N7 ხანძრის შედეგად დაზარალებულის დახმარება განისზღვრა არაუმეტეს 5000 ლარით. ხოლო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულის დახმარება განისაზღვრა არაუმეტეს 3000 ლარით.

დანართი N12 ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამაში ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება განისაზღვრა 500 ლარით.

დანართი N13 ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში უსახლკარო პირთა დახმარება ქირით ვანის ტერიტორიაზე განისაზღვრა არაუმეტეს 200 ლარი.

შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში არაუმეტეს 150 ლარი. სხვა ადმინსტრაციულ ერთეულებში არაუმეტეს 120 ლარი თვეში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების თაობაზე“;

დადგენილება N 30

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზა ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი .„ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება არ არის . ძალადაკარგულად გამოცხადდეს ძველი დადგენილება და ახალი დადგენილების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – 1 (ალექსანდრე მჟავანაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

დადგენილება N 31

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის 2023 წლის 01 დეკემბრის N65.-65233353 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ნოემბრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.6523356001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის Nგ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა ,რომ 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული და განხორციელებული პროექტებიდან მიღებულია ეკონომიები. პროექტების ღირებულება დაზუსტდა ეკონომიების გათვალისწინებით. ეკონომიის ხარჯზე კვლავ მოსახლეობის ჩართულობით შერჩეულია ახალი პროექტები:

1. სოფ. შუამთაში „სკვერის კეთილმოწყობა (საბავშვო ატრაქციონის მონტაჟი)“ 17000
ლარიდან მიღებული ეკონომიის შემდეგ პროექტის ღირებულება დაზუსტდა და
დარჩა 16411 ლარი.
2. სოფ. შუამთაში დაემატა ახალი პროექტი „სოფლის ცენტრში არსებული სკვერისთვის
ინვენტარის და მასალის შეძენა“ ღირებულებით 2316 ლარი.
3. სოფ. ჭყვიში პროექტი „მდინარე ყუმურზე გადასასვლელის მოწყობა“დაზუსტდა და
11400 ლარის ნაცვლად ღირებულებაა 9673 ლარი.
4. სოფ. ქვედა ბზვანი „გარე განათების მოწყობა“ დაზუსტდა და 17200 ლარის ნაცვლად
ღირებულებაა 11411 ლარი.
5. სოფ. ქვედა ბზვანში ეკონომიების ხარჯზე დაემატა ახალი პროექტი „ბზვანის
ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია“ ღირებულებით
5789 ლარი.
6. სოფ. ზედავანში ეკონომიების ხარჯძე დაემატა ახალი პროექტი „გარე განათების
მოწყობა“ ღირებულებით 1622 ლარი.
7. სოფ. ზედავანში ეკონომიების ხარჯძე დაემატა ახალი პროექტი „ტოხვაძეების და
ძაგნიძეების უბანში გარე განათების რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა“
ღირებულებით 1360 ლარი.
8. სოფ. ზედავანში ეკონომიების ხარჯძე დაემატა ახალი პროექტი „აბრამიძეების და
ძაგნიძეების უბნებში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“ ღირებულებით 2090
ლარი.
9. სოფ. ტყელვანში „სკვერის კეთილმოწყობა“ 6000 ლარიდან მიღებული ეკონომიის
შემდეგ პროექტის ღირებულება დაზუსტდა და დარჩა 3928 ლარი.
10. სოფ. დიხაშხოში „გარე განათების მოწყობა“ 12000 ლარიდან მიღებული ეკონომიის
შემდეგ პროექტის ღირებულება დაზუსტდა და დარჩა 7800 ლარი.

11. სოფ. დიხაშხოში ეკონომიების ხარჯძე დაემატა ახალი პროექტი „ვაშლარას უბნის
საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“ ღირებულებით 4200 ლარი.
12. სოფ. სულორში „ხიდის რეაბილიტაცია“ 16000 ლარიდან მიღებული ეკონომიის
შემდეგ პროექტის ღირებულება დაზუსტდა და დარჩა 14079 ლარი.
13. სოფ. სულორში ეკონომიების ხარჯზე დაემატა ახალი პროექტი „დავითაშვილების
უბანში გარე განათების ბილინგი“ ღირებულებით 800 ლარი.
14. სოფ. სულორში ეკონომიების ხარჯზე დაემატა ახალი პროექტი „სოფლის ცენტრში
არსებული მოსაცდელის რეაბილიტაციისთვის მასალის შეძენა“ ღირებულებით 1327 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის Nგ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65233562

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი